



INNOVATIVE ECONOMICS AND MANAGEMENT

Volume 8, №2 (2021)

ტომი 8, №2 (2021)

ინოვაციური ეკონომიკა და მართვა

BATUMI 2021

ბათუმი 2021



UDC (უაკ) 050:{33+338.24}

n - 603

მთავარი რედაქტორი: ბადრი გეჩბაია

ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი; საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

სარედაქციო კოლეგია:

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე, ნოდარ ჭითანავა, ანზორ აბრალავა, ვლადიმერ ღლონტი, რეზო მანველიძე, ევგენი ბარათაშვილი, რამაზ აბესაძე, ეთერ ხარაიშვილი, ლამარა ქოქიაური, გივი ბედიაშვილი, ელგუჯა მკვამიშვილი, თეიმურაზ შენგელია, რევაზ გვესიანი, მიხეილ ჯიბუტი, ნიკოლოზ ჩიხლადზე, თეიმურაზ ბაბუნაშვილი, სმმდ, რეზო ჯაბნაძე.

აკადემიური დოქტორები, პროფესორები: გელა მამულაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), პაატა აროშიძე (პასუხისმგებელი რედაქტორი), პარმენ ხვედელიძე, ქეთევან გოლეტიანი, ერეკლე პირველი, ნათელა წიკლაშვილი, ასიე ცინცაძე, ვახტანგ ჭარაია, ზურაბ მუშკულიანი, ანზორ დევაძე, გულნაზ ერგომაიშვილი, რომან მამულაძე, ნინო ფარესაშვილი, ნანა შონია, ნათია მიქელთაძე, თენგიზ აფხაზავა, მანანა მოისწრაფიშვილი, რუსუდან ქუთათელაძე, გიორგი ღვთაძე, იოსებ არჩვაძე, გოჩა თუთბერიძე, ვასილ კიკუტაძე, გივი ბაკრაძე, როსტომ ბერიძე.

EDITOR-IN-CHIEF: BADRI GECHBAIA

Doctor of Economics, Associate Professor of Batumi Shota Rustaveli State University; Head of the Research Center of Batumi Navigation teaching University; Academician of Georgian Academy of Business Sciences.

Doctor of Economic Sciences, Professors: Vladimer Papava, Avtandil Silagadze, Nodar Chitanava, Anzor

Abbralava, Vladimer Glonti, Rezo Manvelidze, Evgeni Baratashvili, Ramaz Abesadze, Eter Kharashvili, Lamara Qoqiauri, Givi Bedianashvili, Elguja Mekvabishvili, Teimuraz Shengelia, Revaz Gvelesiani, Mikheil Jibuti, Nikoloz Chikhladze, Teimuraz Babunashvili, Rezo Jabnidze.

PhD, professors: Gela Mamuladze (Deputy Editor), Paata Aroshidze (Responsible Editor), Parmen Khvedelidze, Ketevan Goletiani, Erekle Pirveli, Natela Tsiklashvili, Asie Tsintsadze, Vakhtang Charaia, Zurab Mushkudiani, Anzor Devadze, Gulnaz Erqomaishvili, Roman Mamuladze, Nino Paresashvili, Nana Shonia, Natia Mikeltadze, Tengiz Apkhazava, Manana Moistsrapishvili, Rusudan Kutateladze, Giorgi Gavidadze, Ioseb Archvadze, Gocha Tutberidze, Vasil Kikutadze; Givi Bakradze, Rostom Beridze.

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები: სერგეი

შკარლეთი - უკრაინის განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, პროფესორი; **მაიკლ ბურლაკისი** - კრანფილდის მენეჯმენტის სკოლა, პოფესორი; **ვოლფგანგ ვენგი** - ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი; **ნიკოლაი კიზიმ** - უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; **ვიქტორ კოვალ** - კიევის ვაჭრობისა და ეკონომიკის ეროვნული უნივერსიტეტის ოდესის ვაჭრობისა და ეკონომიკის ინსტიტუტი, პროფესორი; **მარიანა ჰეტროვა** - ბულგარეთის წმინდა კირილესა და წმინდა მეტოდის უნივერსიტეტის პროფესორი; **რიჩარდ ჰუკალა** - ბრონისლავ მარკივიჩის სახელმწიფო ტექნოლოგიისა და ეკონომიკის სკოლის რექტორის მოადგილე, პოლონეთი; **ალექსანდრ ლევჩენკო** - ცენტრალური უკრაინის ეროვნული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი; **ოლგა პროკოპენკო** - ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორი; **ლუსია ვილცეკოვა** - ბრატისლავას კომენიუსის უნივერსიტეტის პროფესორი; **ნატალია ვლოვენკო** - უკრაინის ბიოლოგიისა და გარემოსდაცვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; **ლუდმილა შიმანოვსკა-დიანიჩი** - პოლტავის ვაჭრობისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის პროფესორი; **გალინა კუზმენკო** - ცენტრალური უკრაინის ეროვნული ტექნოლოგიური უნივერსიტეტი

ტის პროფესორი; **ვიქტორია ხაუსტოვა** - ხარკოვის ეროვნული ეკონომიკური უნივერსიტეტის პროფესორი; **ელენა გრიშნოვა** - ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; **ნატალია შალიმოვა** - ცენტრალური უკრაინის ეროვნული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორი; **ლიდია ვეის** - ლუბლიანას ბიზნესის სკოლის პროფესორი; **ნამიგ ისაევი** - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ბაქო; **ოლგა რუდენკო** - ჩერნიგოვის ეროვნული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორი; **იაცეკ ბინდა** - ბიელსკო-ბიალას ფინანსებისა და სამართლის სკოლის პროფესორი, პოლონეთი. **ვიტალი სერჟანოვი** - უეგოროდის ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი. **ოლგა იერმაკოვა, ალექსანდრე ლაიკო, ანა სევჩენკო** - უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბაზრის პრობლემების ეკონომიკური და გარემოსდაცვითი კვლევების ინსტიტუტი, პროფესორები.

FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD:

SERHIY SHKARLET - Minister of Education and Science of Ukraine, Professor; **MICHAEL BOURLAKIS** - Cranfield School of Management, Professor; **WOLFGANG WENG** - Berlin Technical University, Professor; **MYKOLA KYZYM** - Academician of National Academy of Sciences of Ukraine; **VIKTOR KOVAL** - Odessa Institute of Trade and Economics of Kyiv National University of Trade and Economics, Professor; **MARIANA PETROVA** - St.

Cyril and St. Methodius University, Professor, Veliko Turnovo, Bulgaria; **RYSZARD PUKAŁA** - Bronislaw Markiewicz State Higher School of Technology and Economics, Professor, Warsaw, Poland; **OLEKSANDR LEVCHENKO** - Central Ukrainian National Technical University, Professor, Deputy Rector for Science; **OLHA PROKOPENKO** - Tallinn University of Technology, Professor; **LUCIA VILCEKOVA** - Comenius University in Bratislava, assistant professor; **NATALIA VDOVENKO** - National University of Life and Environmental Sciences of Ukraine, Professor; **LYUDMILA SHYMANOVSKA-DIANICH** - Poltava University of Economics and Trade, Professor; **HALYNA KUZMENKO**, Central Ukrainian National Technical University, Associate Professor; **VIKTORIIA KHAUSTOVA** - Kharkiv National University of Economics, Associate Professor; **OLENA GRISHNOVA** - Taras Shevchenko National University of Kyiv, Professor; **NATALIIA SHALIMOVA** - Central Ukrainian National Technical University, Professor; **LIDIJA WEIS** - Ljubljana School of Business, Professor; **NAMIG ISAYEV** - Doctor of Economics, Baku; **OLHA RUDENKO** - Chernihiv National University of Technology, Associate Professor; **JACEK BINDA** - Bielsko-Biala School of Finance and Law, Professor. **VITALY SERZHANOV** - Uzhhorod National University, Professor. **OLGA IERMAKOVA, OLEKSANDR LAIKO, HANNA SHEVCHENKO** - Institute of Market Problems and Economic & Ecological Research of the National Academy of Sciences of Ukraine.



Batumi Navigation Teaching University and National Institute of Economic Research Refereed and Peer – Reviewed scientific journal.

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის და ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტის რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი.

ISSN 2449-2418 (ბექდური) P.

ISSN 2449-2604 (ელექტრონული) O.

CONTENTS

სარჩევი

ECONOMIC THEORY

ეკონომიკური თეორია

JOSEPH ARCHVADZE - ON SOME ASPECTS OF THE DEPENDENCE OF ECONOMIC DYNAMICS

ON THE COVID PANDEMIC.....6

იოსებ არჩვაძე - ეკონომიკის დინამიკის კოვიდპანდემიაზე დამოკიდებულების ზოგიერთი

ასპექტის შესახებ8

OLEH NOVOMLYNETS, ANNA VERBYTSKA, IRYNA LYSENKO - THE ROLE OF ENERGY EFFICIENCY

IN ENSURING SUSTAINABLE DEVELOPMENT22

ოლეგ ნოვომლინეც, ანა ვერბიცკა, ირინა ლისენკო - ენერგოეფექტურობის როლი მდგრადი

განვითარების უზრუნველყოფაში.....23

BUSINESS AND ENTREPRENEURSHIP

ბიზნესი და მეწარმეობა

DAVID VEKUA - CHALLENGES AND PERSPECTIVES OF SMALL AND MEDIUM-SIZED

BUSINESS DEVELOPMENT IN GEORGIA 31

დავით ვეკუა - საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პრობლემები

და პერსპექტივები 32

MIRZA SUKNISHVILI - PROBLEMS OF SUSTAINABLE FOOD SECURITY AND THE NEEDS OF

AGRIBUSINESS DEVELOPMENT IN GEORGIA 39

მირზა სუქნიშვილი - მდგრადი სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემები და აგრობიზნესის

განვითარების საჭიროებები საქართველოში 40

MANAGEMENT AND MARKETING

მენეჯმენტი და მარკეტინგი

NINO TCHANTURIA - THE ROAD FROM TRADITIONAL MARKETING TO DIGITAL MARKETING 62

ნინო ქანტურია - გზა, ტრადიციული მარკეტინგიდან ციფრულ მარკეტინგამდე 63

SECTORAL ECONOMICS

დარგობრივი ეკონომიკა

TAMTA VARSHANIDZE, SALOME JAPARIDZE, LASHA MANVELIDZE - OPPORTUNITIES FOR THE FORMATION OF MARITIME TRANSPORT CLUSTERS AND ITS ROLE IN ECONOMIC DEVELOPMENT 72
თამთა ვარშანიძე, სალომე ჯაფარიძე, ლაშა მანველიძე - საზღვაო სატრანსპორტო კლასტერების ფორმირების შესაძლებლობები და მისი როლი ეკონომიკის განვითარებაში..... 73

MZIA TIKISHVILI - GENERAL ANALYSIS USING OF DIGITAL COMMUNICATION TOOLS BY STUDENTS IN DISTANCE LEARNING, CAUSED OF CORONAVIRUS..... 82
მზია ტიკიშვილი - სტუდენტთა მიერ ციფრულ საკომუნიკაციო საშუალებათა გამოყენების ზოგადი ანალიზი კორონავირუსის გამო დისტანციური სწავლის დროს 83

VAKHTANG TAVBERIDZE - WHY SHIPS SINK SO OFTEN - THE HUMAN FACTOR IN MARITIME SAFETY 92
ვახტანგ თავბერიძე - რატომ იძირება ასე ხშირად გემები - ადამიანის ფაქტორი ზღვაოსნობის უსაფრთხოებაში 93

HAMLET SANIKIDZE - AGRICULTURAL COOPERATIVES DEVELOPMENT PRIORITIES AND REGULATION MECHANISMS..... 98
ჰამლეთ სანიკიძე - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების პრიორიტეტები და რეგულირების მექანიზმები 99

JEL Classification: 2.9.I 18
DOI: 10.46361/2449-2604.8.2.2021.6-21

ON SOME ASPECTS OF THE DEPENDENCE OF ECONOMIC DYNAMICS ON THE COVID PANDEMIC

JOSEPH ARCHVADZE

Ph.D (Economics),
Professor of Kutaisi University
Kutaisi, Georgia
E-mail: daswreba@yahoo.com
<https://orcid.org/0000-0003-0288-288X>

Georgia is an open economic system and, as such, is highly correlated with both the economic preferences of globalization and the dangers arising from this circumstance. A striking example of this is the spread of Covid19 in Georgia, which has already clashed with three waves of the pandemic and has accumulated some experience in finding optimal ways to overcome the negative socio-economic consequences caused by this circumstance.

The negative consequences of the past waves of the pandemic for the economy and health care system of Georgia had different scales in their consequences. In particular, during the first wave, the main blow was dealt to the country's economy, the second wave dealt the main blow to the health of Georgian citizens, and the range of negative consequences of the third wave was almost equally "redistributed" between the health of citizens and the economy. In preparing the article, official materials from Georgia and international organizations were used, as well as domestic and foreign literature on the relevant topic.

Despite a large-scale and intensive study, over the past period since the beginning of the pandemic, it was not possible to find an unambiguous answer whether there is a rigid link between the scale of the economic decline and the scale and depth of the pandemic. - The volatility of the relationship between them is large and its scale is determined specifically for individual countries and periods of time, determined by many interdependent factors (administrative, medical, cultural, psychological, etc.). Examples from individual countries confirm that even under the same conditions of restriction or liberalization, there are significant differences between the incidence of infection and deaths from covid19, on the one hand, and economic fluctuations, on the other.

During the first 7-8 months after the start of the pandemic, Georgia had a significantly better epidemic situation compared to its land-based neighbors and the world average. However, the second wave of the pandemic for the health care system

and the economy turned out to be so negative that, in terms of the quality indicators of medicine and health care, Georgia significantly lagged behind the aforementioned states and the world average. This lag, despite some stabilization of the epidemic and economic situation, has not been fully overcome to this day.

Edited by:

June, 2021

Reviewed by:

July, 2021

Keywords: Covid pandemic, economic crisis, lockdown, infection, fatalities.

JEL Classification: 2.9.I 18
DOI: 10.46361/2449-2604.8.2.2021.6-21

ეკონომიკის დინამიკის კოვიდპანდემიისა და დამოკიდებულების ზომიერთი ასპექტის შესახებ

იოსებ არჩვაძე

ეკონომიკის დოქტორი,
ქუთაისის უნივერსიტეტის
პროფესორი,
ქუთაისი, საქართველო
ელ.ფოსტა: daswreba@yahoo.com
orcid.org/0000-0003-0288-288X

საქართველო ღია ეკონომიკური სისტემის მქონე ქვეყანაა და როგორც ასეთი, მაღალ კორელაციაში იმყოფება როგორც გლობალიზაციის შედეგად ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ პრეფერენციებთან, ისე აღნიშნული მდგომარეობიდან წარმომავალ საფრთხეებთან. ამის მკაფიო მაგალითია კოვიდ 19-ის გავრცელება საქართველოში, რომელმაც უკვე გადაიტანა აღნიშნული პანდემიის სამი ტალღა და გარკვეული გამოცდილება დააგროვა მასთან ბრძოლის ოპტიმალური გზების ძიებაში, მისი ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური შედეგების დაძლევაში.

პანდემიის უკვე ჩავლილი ტალღების ნეგატიური შედეგები საქართველოს ეკონომიკასა და მოსახლეობის ჯანდაცვაზე განსხვავებული ზემოქმედებისა და ასიმეტრიული მასშტაბების იყო. კერძოდ, პირველი ტალღის დროს მთავარი დარტყმა მიიღო ქვეყნის ეკონომიკამ, მეორე ტალღის მთავარი დარტყმა მოსახლეობაზე, მათ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე მოვიდა, მესამე ტალღის ნეგატიური ზემოქმედების დიაპაზონი კი თითქმის თანაბრად „გადანაწილდა“ ჯანდაცვასა და ეკონომიკაზე.

სტატიის მომზადებაში გამოყენებულ იქნა საქართველოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური მასალები, აგრეთვე შესაბამის თემაზე ბოლო დროს გამოქვეყნებული სამამულო და უცხოური ლიტერატურა.

მიუხედავად ფართომასშტაბიანი და ინტენსიური კვლევისა, პანდემიის გავლილ პერიოდში ვერ მოხერხდა ცალსახად ხისტი კავშირის „აღმოჩენა“ ეკონომიკის დაცემისა და კოვიდპანდემიის მასშტაბებს შორის. - კავშირი მათ შორის უფრო ვოლატილურია, რომლის მასშტაბები განისაზღვრება ყოველი ქვეყნისა და დროის მიხედვით და მრავალ (ადმინისტრაციულ, სამედიცინო, კულტუროლოგიურ, ფსიქოლოგიურ და ა.შ.) ფაქტორთა მოქმედებითა და ურთიერთგავლენით. ცალკეული ქვეყნების მაგალითები ადასტურებენ, რომ პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდულობისა თუ ლიბერალიზაციის ფაქტობრივად თანაბარი პირობების დროსაც კი შეიმჩნევა მნიშვნელოვანი განსხვავებანი კოვიდ19-ით გამოწვეული ინფიცირების, ლეტალუ-

რი შემთხვევებისა და ეკონომიკური რყევების მასშტაბებს შორის.

პანდემიის დაწყებიდან პირველი 7-8 თვის მანძილზე საქართველოში ეპიდვითარება გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე მის სახმელეთო მეზობლებსა და საშუალოდ მსოფლიოში. თუმცა, პანდემიის მეორე ტალღა საქართველოს ჯანდაცვის სფეროსა და ეკონომიკისათვის უადრესად ნეგატიური დატვირთვის აღმოჩნდა, რის გამოც პანდემიის სამედიცინო შედეგების ხარისხობრივი მაჩვენებლები საქართველოში მნიშვნელოვნად ჩამორჩა თავისი მეზობელი სახელმწიფოების ანალოგიურ მაჩვენებლებს. აღნიშნული ჩამორჩენა, მიუხედავად ეპიდვითარების და ეკონომიკური მდგომარეობის მეტ-ნაკლებად სტაბილიზაციისა მომდევნო პერიოდში, ბოლომდე არაა დაძლეული.

შემოსულია რედაქციში:

თებერვალი, 2021

რეცენზირებულია:

მარტი, 2021

საკვანძო სიტყვები: Covid19-ის პანდემია, ეკონომიკური კრიზისი, ლოკდაუნი, ინფიცირება, ლეტალური შემთხვევები.

COVID19-ით გამოწვეულმა პანდემიამ არსებითად შეცვალა მთელი მსოფლიოს ეკონომიკური პროცესების ჩვეული წესი, რიტმი და მასშტაბები, განვითარების ვექტორი, დაარღვია ათეული წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული და დინამურად განვითარებული სამეურნეო კავშირები, ადამიანთა ჯანმრთელობა და სიცოცხლისათვის მიყენებულ დარტყმასთან ერთად არსებითად გააუარესა მთელი მსოფლიოს მაკროეკონომიკური მდგომარეობა. – 2020 წელს წინა, 2019 წელთან შედარებით, გლობალური ეკონომიკის მოცულობა შემცირდა 4.9 პროცენტით, საგარეო ვაჭრობა - 8.0 პროცენტით, შრომითი საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავლები - 8.3 პროცენტით (3.7 ტრილიონი აშშ დოლარით), სამუშაო დროის მოცულობა - 8.8 პროცენტით [7]; მსოფლიოში 2020 წელს დაიკარგა 114 მლნ. სამუშაო ადგილი, ხოლო უმუშევრობის საშუალო დონე მსოფლიოში გაიზარდა 6.5 პროცენტამდე (1.1 პროცენტული პუნქტით) [7]. საქართველოსათვის ნეგატიური შედეგები თითქმის ყველა მაკროეკონომიკური ინდიკატორის მიხედვით კიდევ უფრო მასშტაბური იყო.

ლოსათვის კოვიდ19-ით ინფიცირებათა შემთხვევები 5.7-ჯერ, ხოლო გარდაცვალებათა შემთხვევები - 2.9-ჯერ მეტი იყო, ვიდრე საშუალოდ მსოფლიოში, დავასკვნით, რომ მთლიანობაში საქართველოს მდგომარეობა ეკონომიკური, სამედიცინო უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის მხრივ საშუალო მსოფლიო დონესთან შედარებით რამდენადმე უარესი იყო.

საქართველომ პანდემიის დაწყებიდან უკვე განიცადა მისი ე.წ. „პირველი“, „მეორე“ და „მესამე“ ტალღების შემოტევა, შესაბამისი უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური შედეგებით. ამასთან, ამ ტალღების დარტყმის მიმართულება და სიძლიერე მკვეთრად განსხვავებული იყო:

პირველი ტალღისას, ლოკდაუნმა და საკარანტინო რეჟიმმა ეკონომიკის მასშტაბები მკვეთრად შეამცირა. - მაგალითად, 2020 წლის აპრილში წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ეკონომიკის ვარდნამ 16.6 პროცენტი შეადგინა (მთლიანად მხოლოდ მეორე კვარტალში - -12.6%, ივლისში - -5.5%, ხოლო აგვისტოში - -5.3%), მაშინ როდესაც მოკვდაობის რაოდენობრივი მაჩვენებელი მთელი

ცხრილი 1
ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები მსოფლიოსა და საქართველოში 2020 წელს

(პროცენტული სხვაობა 2019 წელთან)

	მშპ	საგარეო ვაჭრობა	უმუშევრობის დონე, პროცენტული პუნქტი	შემოსავლები
მსოფლიო	-4.9	-8.0	+1.1	-8.3
საქართველო	-6.2	-14.6	+0.9	-8.6

მაკროეკონომიკური ინდიკატორების გააუარესებამ ადეკვატური ასახვა ჰპოვა მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ეკონომიკურ მდგომარეობაში. ამასთან, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მოსახლეობის თანაბარ რაოდენობაზე საქართველოში 2020 წლის ბო-

პირველი ექვსი თვის მანძილზე (2020 წლის მარტიდან აგვისტოს ჩათვლით) ორ ათეულსაც კი არ აღწევდა.

ნეგატიური შედეგებით, პანდემიის მეორე ტალღამ პირველისაგან არსებითად განსხვავებული სურათი წარმოაჩინა: 2020 წლის

ოქტომბერ-დეკემბერში ეკონომიკის ყველაზე დრმა ვარდნა არ აღემატებოდა 7.9 პროცენტს, რაც 2.1-ჯერ ნაკლებია 2020 წლის აპრილთან შედარებით, მაშინ როდესაც ამ პერიოდზე მოვიდა პანდემიის დაწყებიდან მთელს მომდევნო პერიოდში კოვიდინფიცირებათა საერთო რაოდენობის 64 პროცენტი და ლეტალურ შემთხვევათა 52 პროცენტი.

რაც შეეხება მესამე ტალღას, მის წილად მოვიდა პანდემიის მთელი პერიოდის მანძილზე ინფიცირებათა საერთო რაოდენობის თითქმის ¼ და ლეტალურ შემთხვევათა ¼-ზე მეტი.

ქვემოთ მოტანილი ცხრილი წარმოაჩენს ეკონომიკური ვარდნისა და ავადობის ასიმეტრიულ ხასიათს პანდემიის პირველი, მეორე და მესამე ტალღების დროს.

ნიშნულმა ღონისძიებამ, ანუ ეკონომიკის „ჩაკეტვამ“?

თუ ვიმსჯელებთ ინფექციის მასშტაბების გავრცელებით და ლეტალური შემთხვევების საერთო რაოდენობით, საქართველოში მეორე ტალღის ყველაზე პიკურ პერიოდში - 2021 წლის ნოემბერსა და დეკემბერში - გარდაცვალებათა საერთო რაოდენობის შესაბამისად 22.0% და 22.9% მოდიოდა კოვიდით გარდაცვლილებზე, რაც 4.4-ჯერ აღემატებოდა მთელ განვლილ პერიოდში კოვიდ19-ით გარდაცვალებათა წილს გარდაცვალებათა საერთო რაოდენობაში (2020 წელს გარდაცვალებათა საერთო რაოდენობის 5.0%).

2020 წლის ნოემბერი და დეკემბერი საქართველოში ინფიცირებისა და ლეტალური შემთხვევების მიხედვით პიკური თვეები იყო,

ცხრილი 2

პანდემიის გავრცელების და ეკონომიკური ვარდნის ასიმეტრიული მასშტაბები
 პანდემიის პირველი, მეორე და მესამე ტალღებისას საქართველოში
 2020 წლის აპრილიდან 2021 წლის მაისამდე

	(პროცენტი)		
	ინფიცირებულთა წილი	ლეტალური შემთხვევების წილი	წილი ეკონომიკის ვარდნაში (-) /ზრდაში (+)
„პირველი ტალღა“ (2020 წლის აპრილი-ივნისი)	0.3	0.3	- 30.2
„მეორე ტალღა“ (2020 წლის ოქტომბერ-დეკემბერი)	64.1	51.7	- 15.3
„მესამე ტალღა“ (2021 წლის მარტი-მაისი)	23.1	26.7	+64.0


რა იყო პანდემიის „ტალღებისას“ ეკონომიკის უდიდესი სეგმენტების იძულებითი გაჩერების, ე.წ. ლოკდაუნის გამოცხადების მთავარი მიზანი? - ავადობის არგავრცელება და ამ ვირუსით გარდაცვალებათა მინიმუმაცია.

მიაღწია თუ არა სასურველ შედეგს აღ-

თუმცა დანარჩენი თვეებიც არ გამოირჩეოდნენ სტაბილურობით. თუ ბოლო 12-თვიან პერიოდს ავიღებთ (2020 წლის ივნისი - 2021 წლის მაისი¹), ამ ხნის განმავლობაში საშუალო თვიურ მაჩვენებლებთან შედარებით ფაქტობრივი ღონეები (გადახრა) საკმაოდ

¹ მართალია, კოვიდ19-ით ინფიცირების პირველი შემთხვევა საქართველოში 2020 წლის თებერვლის ბოლოს დაფიქსირდა, 2020 წლის ივნისის დასაწყისამდე ქვეყანაში ინფიცირებულთა ჯამური რაოდენობა 800-ზე ნაკლები, ხოლო გარდაცვალებათა რაოდენობა, შესაბამისად, 13 იყო, ამიტომ 2020 წლის თებერვალ-მაისის მონაცემებიც, მათი სიმცირის გამო (წლის მეორე ნახევრიდან დაფიქსირებულ მაჩვენებლებთან შედარებით) ივნისის „აქტივშია“ შეტანილი...

დიაგრამა 1



მასშტაბური იყო, რაზეც თვალსაჩინო წარმოდგენას ქვემოთ დიაგრამა იძლევა.

ამასთან, ინფიცირებისა და გარდაცვალების შემთხვევათა საშუალო თვიურ მაჩვენებელთან შედარებით აღნიშნული პერიოდის თვეების მიხედვით ფაქტობრივ აბსოლუტურ გადახრათა საშუალო მაჩვენებელი (ვარიაციის საშუალო დონე) ეკონომიკის ვარდნის საშუალო თვიურ აბსოლუტურ მაჩვენებელს, სულ ცოტა, 3-ჯერ აღემატება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კოვიდფაქტორით გამოწვეული ავადობა და ლეტალური შემთხვევები გაცილებით მაღალი ვოლატულობით გამოირჩევა იმავე გარემოებით გამოწვეულ ეკონომიკის რყევის (-შემცირების) მასშტაბებთან შედარებით.

ამასთან, ცალსახა პასუხი იმის თაობაზე,

თუ რამდენად ეფექტიანია ლოკდაუნი, ეკონომიკის შეზღუდვა პანდემიასთან ბრძოლაში, ცალსახა პასუხი არ არსებობს. ავადობის ერთსა და იგივე მაჩვენებელთან მიმართებაში ეკონომიკის რეცესიის მასშტაბები სხვადასხვა პერიოდისა და ქვეყნების მიხედვით საგრძნობლად განსხვავდება. სამართლიანია აღნიშნულის შებრუნებული თეზისიც: ეკონომიკის ვარდნის თანაბარი მასშტაბი შეიძლება უკავშირდებოდეს კოვიდპანდემიით გამოწვეული ნეგატიური შედეგების (ავადობა, ლეტალური შემთხვევები) სრულიად განსხვავებულ მასშტაბებს. აღნიშნული დასტურდება არა მარტო საქართველოს ბოლო ერთ წელზე მეტი პერიოდის მონაცემებით, არამედ სხვა ქვეყნების მაგალითებითაც. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიტანთ ორი ევროპული

სახელმწიფოს - ბელორუსისა და შვედეთის მონაცემებს.

ორივე ქვეყანამ თავის დროზე უარი თქვა ლოკდაუნზე, შედეგები კი პანდემიის დაწყებიდან 15 თვის შემდეგ დიამეტრალურად განსხვავებულია, რაზეც წარმოდგენას ქვემოთ ცხრილი იძლევა.

ან ცალსახა პასუხს პანდემიასთან ბრძოლის ეფექტიანობის კრიტერიუმთან დაკავშირებით, თუ ერთიან პაკეტში მხოლოდ სამედიცინო და ეკონომიკურ ასპექტებს განვიხილავთ.

2020 წლის სექტემბრის შუა რიცხვებიდან (დაახლოებით 13 სექტემბრიდან) პანდემიის გავრცელებამ საქართველოში ისეთი მასშტა-

ცხრილი 3
 კოვიდპანდემიის შედეგები ბელორუსსა და შვედეთში

	მოსახლეობის ყოველ 100 ათას სულზე 2021 წლის 1 ივნისის მდგომარეობით		ეკონომიკის ვარდნა 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, %
	ინფიცირებათა რაოდენობა	გარდაცვალებათა რაოდენობა	
ბელორუსი	4199.2	30.4	-0.9
შვედეთი	10580	142.7	-1.7
შვედეთი ბელორუსთან, %	252,0	469,4	188,9

საქართველოში მოსახლეობის თანაბარ რაოდენობაზე კოვიდინფიცირებულთა რაოდენობა შვედეთის ანალოგიური მაჩვენებლის 87.7 პროცენტი, ხოლო გარდაცვალებათა რაოდენობა - 90.5 პროცენტია, თუმცა ეკონომიკის ვარდნის მასშტაბები საქართველოში შვედეთთან შედარებით 3.6-ჯერ უფრო მაღალია (შესაბამისად, -6.2% და -1.7%).

შვედეთის, ბელორუსის და საქართველოს ზემოთ მოტანილი მაგალითები არ იძლევი-

ბები მიიღო, რომ სულ რაღაც რამდენიმე კვირაში მან მთლიანად დაკარგა ის რაოდენობრივი და ხარისხობრივი უპირატესობა, რასაც იგი პანდემიის დაწყებიდან მთელი პერიოდის განმავლობაში ინარჩუნებდა თავის სახმელეთო მეზობლებთან შედარებით.

შესაბამისად, საქართველო, რომელსაც მანამდე თავის მეზობლებთან შედარებით ჯერადად უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა ინფიცირების შემთხვევებისა და ლეტალური შედე-

ცხრილი 4
 კოვიდ19-ით ინფიცირებათა და გარდაცვალებათა რაოდენობა მოსახლეობის ერთსა და იმავე რაოდენობაზე საქართველოს სახმელეთო მეზობლებსა და აშშ-ში საქართველოსთან შედარებით

(საქართველო = 1)

	ინფიცირებულები			გარდაცვლილები		
	12.09.2020	1.10.2020	1.01.2021	12.09.2020	1.10.2020	1.01.2021
სომხეთი	27,1	8,8	0,862	59,2	27,5	1,378
აზერბაიჯანი	6,8	2,1	0,355	10,9	5,1	0,387
თურქეთი	6,4	2,1	0,445	16,9	8,8	0,380
რუსეთი	13,1	4,3	0,361	25,1	12,5	0,589
აშშ	36,1	11,9	1,012	117,6	55,7	1,582

გების დადგომის მხრივ, აღნიშნული უპირატესობა ორიოდ კვირაში „შემოფლანგა“, რის გამოც ის მსოფლიო ქვეყნების აუტსაიდერთა რიგებში აღმოჩნდა გადასროლილი.

მოტანილი მონაცემები ადასტურებენ მდგომარეობის სწრაფი გაუარესების პროცესს საქართველოში ზემორე ცხრილში მოტანილ ყველა ქვეყანასთან შედარებით. - 2020 წლის ნოემბერ-დეკემბერში ინფიცირებათა საშუალოსადღელამისო მაჩვენებლები საქართველოში საგრძნობლად აღემატებოდა აღნიშნული ქვეყნების მაჩვენებლებს, რაზეც თვალსაჩინო წარმოდგენას უკვე ქვემოთ დიაგრამა იძლევა.


აქ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ პანდემიის „მეორე ტალღა“ იმავე პერიოდში ამ ქვეყნებსაც დაატყდა და იქაც ადგილი ჰქონდა ავადობისა და ლეტალური შემთხვევების მნიშვნელოვან ზრდას, თუმცა მათი

მზარდი, გაუარესებული სტატისტიკის ფონზე კი საქართველო გამოირჩეოდა თავისი ანტირეკორდებით.


საქართველოში მეორე ტალღის დროს ინფიცირებათა რაოდენობა ნოემბერში - ყოველ 36 საათში და დეკემბერში - ყოველ 47 საათში, იმდენივე იყო, რამდენიც ამ მაჩვენებლის მიხედვით დაბალი მაჩვენებლის მქონე ბოლო თვის - **სექტემბრის** - მანძილზე, ხოლო ლეტალური შემთხვევებისა - შესაბამისად, ყოველ 33 და 29 საათში, რაზეც წარმოდგენას ქვემოთ დიაგრამა იძლევა.

შემთხვევების მიხედვით **ჰიკურ მდგომარეობას ინფიცირებულთა რაოდენობამ 2020 წლის ნოემბერში მიაღწია** - ამ დროს დადასტურებული დიაგნოზით გამოვლენილ პაციენტთა სადღელამისო რაოდენობა 2834-ს შეადგენდა, ხოლო **ლეტალური შემთხვევების რაოდენობით „რეკორდსმენი“** დეკემბერი აღმოჩ-

დიაგრამა 2



დიაგრამა 3



ნდა, როდესაც ამ მიზეზით გარდაცვალებათა სადღეღამისო რაოდენობამ 38-ს მიაღწია (ამ თვეში გარდაცვალებათა საერთო რაოდენობის თითქმის ¼).

ამჟამინდელი გადასახედიდან უკვე სრული კატეგორიულობით შეიძლება ითქვას, რომ კოვიდპანდემიის მეორე ტალღის ნეგატიური შედეგები საქართველოში ერთერთი უმძიმესი იყო მსოფლიოში. - თუ 2020 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით მოსახლეობის თანაბარ რაოდენობაზე ინფიცირებულთა რაოდენობა მსოფლიოში შეადგენდა საქართველოს ანალოგიური მაჩვენებლის 251 პროცენტს, 15

ნომბრისათვის აღნიშნული დონეები ფაქტობრივად გათანაბრდა, ხოლო 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ეს მაჩვენებელი შემცირდა უკვე 17.5 პროცენტამდე, ანუ მოსახლეობის თანაბარ რაოდენობაზე საქართველოში 5.7-ჯერ მეტი კოვიდინფიცირებული დაფიქსირდა მსოფლიოს საშუალო ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

სამედიცინო პერსონალის ძალისხმევის მიუხედავად, ბოლო თვეებში ადგილი ჰქონდა ისედაც საკამოდ ნეგატიური კოვიდპანდემიური მდგომარეობის კიდევ უფრო მეტად გაუარესებას. - 2021 წლის მაისში მარტთან შე-

დარებით მოსახლეობის თანაბარ რაოდენობაზე ინფიცირებულთა რაოდენობა გაიზარდა თითქმის 3.0-ჯერ, ხოლო გარდაცვალებათა რაოდენობამ 155 პროცენტით მოიმატა.

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის ერთსა და იმავე რაოდენობაზე 2020 წლის ბოლოსთან შედარებით 2021 წლის მაისში ინფიცირებულთა რაოდენობა საქართველოში შემცირდა 2.5-ჯერ და გარდაცვალებათა რაოდენობა - 1.8-ჯერ, იმავე პერიოდში მსოფლიოში ინფიცირების მაჩვენებლის ფაქტობრივი უცვლელობისა და გარდაცვალებათა თითქმის 10-პროცენტიანი ზრდისა, მეორე ტალღის შლეიფი იმდენად დიდი, თვალშისაცემია, რომ **ამჟამად (2021 წლის ივნისის დასაწყისის მდგომარეობით) ინფიცირების მაჩვენებელი საქართველოში საშუალო მსოფლიო დონეს 3.6-ჯერ, ხოლო გარდაცვალებათა რაოდენობა - 3.9-ჯერ აღემატება.**

აღნიშნული ვითარება ადასტურებს, რომ აღნიშნულ ინფექციასთან ბრძოლა მაქსიმალურ შედეგს იძლევა იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებრივი ინსტიტუტები და მოსახლეობა ზედმიწევნით მკაცრად ასრულებენ გაწერილ ნორმებს და იცავენ დადგენილ შეზღუდვებს. წესების დარღვევის ან მოშვებულობის ცალკეულ შემთხვევებს მოაქვთ ხარისხობრივად ჯერადად მეტი ნეგატიური შედეგი, რაც შესაბამისი ინსტიტუტებისა და მედიკოსების გაწეულ ძალისხმევას აუფასურებს და „სიზიფეს შრომად“ აქცევს. არ ამართლებს არც ე.წ. „ჯოგური იმუნიტეტის“ იდეაც, რომლის აპოლოგეტი კარგა ხნის მანძილზე

შვედეთის ხელისუფლება იყო. - ამ ქვეყანაში ინფიცირებისა და ლეტალური შემთხვევების რაოდენობამ გადაასწრო თავის ყველა მეზობლის მაჩვენებლებს, რაზეც თვალსაჩინო წარმოდგენას ქვემოთ დიაგრამა იძლევა.

2021 წლის მეორე კვარტალში ინდოეთში გავრცელებული კოვიდის ე.წ. „ინდურმა შტამით“ დაავადებულთა რაოდენობის მკვეთრმა ზრდამ ეს ქვეყანა მსოფლიო ყურადღების

ცხრილი 5
კოვიდ19-ით ინფიცირებისა და გარდაცვალებათა შემთხვევები საქართველოში 2021 წლის მარტ-მაისში

(მოსახლეობის ყოველ 100 ათას სულზე)


	მარტი	აპრილი	მაისი
ინფიცირებულთა რაოდენობა	304.9	784.9	907.0
გარდაცვალებათა რაოდენობა	7.1	9.3	18.1

ცენტრში მოაქცია. - ბუნებრივია, როდესაც ინფიცირებათა სადღეღამისო მაჩვენებელი 400 ათასს აღწევს, ხოლო კოვიდით გარდაცვალებათა რაოდენობა, შესაბამისად, 4 ათასს, იგი ადექვატურ რეაგირებას საჭიროებს. მაგრამ აღნიშნული გარემოება ერთგვარად ყურადღების მიღმა ტოვებს „მასშტაბის ეფექტს“. -მაგალითად, **ინდოეთის მოსახლეობის რაოდენობას**, რომელიც საქართველოსას 378-ჯერ (!) აღემატება. ანუ დაავადებათა და გარდაცვალებათა რაოდენობას თუ მოსახლეობის თანაბარ რაოდენობაზე გავთვლით, „აღმოვაჩინო“, რომ საქართველოში მდგომარეობა დაახლოებით 1.5-ჯერ უფრო მძიმეა (იგულისხმება, რომ ინდოეთის მიერ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში წარდგენილი ინფორმაცია უტყუარი და სრულია).

ქვემოთ მოტანილი ცხრილი გვიჩვენებს კოვიდის გავრცელების მასშტაბებს და მის ცვალებადობას საქართველოს სახმელეთო მეზობლებში. სტატისტიკური დინამიკა, სამწუხაროდ, არაა საქართველოსათვის პოზიტიური დინამიკის მაჩვენებელი.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა,

დიაგრამა 4



რომ 2020 წელს წარმოქმნილი ეკონომიკური პრობლემები ფაქტობრივად სამედიცინო, „კოვიდწარმომავლობისა“, ჯერჯერობით ვერ მოიძებნა კოვიდსიტუაციასა და ეკონომიკის მდგომარეობას შორის ურთიერთდა-

მოკიდებულების ამხსნელი უნივერსალური „ფორმულა“. ფაქტობრივად, ორივე ინდიკატორზე მოქმედი მრავალი ფაქტორის გამო შეუძლებელია მათ შორის მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე რაიმე

ცხრილი 6
 საქართველოს სახმელეთო მეზობლებში Covid19-ით ინფიცირებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობა საქართველოსთან შედარებით

(მოსახლეობის თანაბარ რაოდენობაზე; პროცენტი; საქართველო = 100)


	ინფიცირებულები			გარდაცვლილები		
	2020 წ. აგვისტო	2020 წ. დეკემბერი	2021 წ. მაისი	2020 წ. აგვისტო	2020 წ. დეკემბერი	2021 წ. მაისი
სომხეთი	1776,7	32,6	22,6	8400,0	62,4	58,0
აზერბაიჯანი	457,8	38,9	16,3	1460,0	36,4	22,1
თურქეთი	547,8	83,4	58,5	1740,0	27,0	50,3
რუსეთი	1153,3	25,5	20,5	4420,0	36,1	43,6

პირდაპირი ხისტი კანონზომიერი კავშირის არსებობაზე ცალსახად მტკიცებით ფორმაში საუბარი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ შორის კავშირი მაღალი ვოლატულობით ხასიათდება. ამის გამო ცვლილებები ეკონომიკის დინამიკასა და კოვიდმდგომარეობას შორის, როგორც წესი, ასიმეტრიული და ხშირად სხვადასხვა მიმართულებების არიან. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ სახელმწიფოთა შორის შედარებებისას ვლინდება. ასე მაგალითად, 2020 წელს აზერბაიჯანის ეკონომიკის დინამიკასა და კოვიდსიტუაციის მდგომარეობას შორის დამოკიდებულებაში ისეთივე თანაფარდობა, პროპორციები რომ ყოფილიყო, როგორც იყო საქართველოში, მაშინ

ამ ქვეყნის ეკონომიკის ვარდნის მასშტაბები ფაქტობრივზე 3-ჯერ უფრო ნაკლები იქნებოდა, სომხეთში კი, შესაბამისად - 1.4-ჯერ ნაკლები (2020 წელს წინა წელთან შედარებით ეკონომიკა აზერბაიჯანში შემცირდა 4.8 პროცენტით, ხოლო სომხეთში - 7.6 პროცენტით).

პანდემიამ, როგორც უკვე ითქვა, უმძიმესი დარტყმა მიაყენა საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას და კეთილდღეობას. ქვეყნის მშპ-ის კლების მასშტაბი წინა წელთან შედარებით 2020 წელს 1.6-ჯერ აღემატებოდა 2008 წლის აგვისტოს ომისა და მსოფლიო 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის გამო ვარდნის 2009 წლის მასშტაბებს (შესაბამისად, -6.2% და -3.8%)..

დიაგრამა 5



2020 წელს ეკონომიკის შემცირების პარალელურად, მკვეთრად გაიზარდა უმუშევრობის დონე და შემცირდა მოსახლეობის შემოსავლები. თავად ეკონომიკა კვარტალების მიხედვით ტალღისებურად ვითარდებოდა. ეკონომიკის დინამიკის ტემპებს შორის სხვაობა შეადგენდა: პირველ და მეორე კვარტალებს შორის - -14.8 პუნქტს, მეორე და მესამე კვარტალებს შორის, შესაბამისად +8.8 პროცენტულ პუნქტს. ამასთან, 2020 წლის პირველი კვარტალის შემდეგ გავლილი ოთხი კვარტალიდან ორში წინა კვარტალთან შედარებით დინამიკის დადებითი ტრენდი (2020 წლის მესამე და 2021 წლის პირველ კვარტალში), ხოლო ორში - უარყოფითი ტრენდი (2020 წლის მეორე და მეოთხე კვარტალები) დაფიქსირდა.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ეკონომიკური ვარდნისა, სახელმწიფოს მიერ გატარებულმა ანტიკრიზისულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად შეამცირეს მოსახლეობის კეთილდღეობის ვარდნა. კომუნალური ხარჯების სუბსიდირება ზამთრის თვეებში, სამსახურდაკარგულთათვის, აგრეთვე მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისათვის ფულადმა დახმარებამ მნიშვნელოვნად შეამსუბუქა პანდემიით გამოწვეული კრიზისის დარტყმის მასშტაბები. მხოლოდ ბუნებრივი აირის სუბსიდირებით მოსახლეობამ ზამთრის თვეებში 165 მლნ. ლარის ეკონომია გასწია. რომ არა ხელისუფლების მიერ გადადგმული ხსენებული ნაბიჯები, მოსახლეობის უიდესი ნაწილის მდგომარეობა გაცილებით დრამატული იქნებოდა.

აღნიშნული შესაძლებელი გახდა სახელმწიფო რესურსების მობილიზების, აგრეთვე ვალის სიდიდის მკვეთრი ზრდის ხარჯზე. - მხოლოდ სახელმწიფო ვალის თანაფარდობა მშპ-სთან კრიზისამდელი 44 პროცენტიდან 2020 წლის ბოლოსათვის 61 პროცენტამდე გაიზარდა.

ამასთან, მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გაწეული დახმარებებისა, **პანდემიის პერიოდში ყოველი ოთხი შინამეურნეობებიდან სამს შემოსავლები შეუმცირდა.** - აღნიშნული ვითარება დააფიქსირა 2020 წლის ბოლოს მოსახლეობის გამოკითხვამ საქართველოს რამდენიმე ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ხაშური). მოსახლეობის დიდ ნაწილს გაცნობიერებული აქვს პანდემიიდან წამომავალი საფრთხე და ის, რომ პანდემიამდელი კეთილდღეობის დონემდე დაბრუნებას გარკვეული დრო დასჭირდება. - გამოკითხულთაგან მხოლოდ ყოველმა მეექვსე რესპოდენტმა (17.4%) გამოსატა რწმენა, რომ უახლოეს მომავალში (არაუმეტეს 1-2 წელიწადში) მათი ოჯახების შემოსავლები და კეთილდღეობა დაუბრუნდება პანდემიამდელ დონეს, მაშინ როდესაც მათზე სამჯერ მეტმა რესპოდენტმა (52.2%) მიიჩნია, რომ აღნიშნულ პერიოდში კეთილდღეობის პანდემიამდელი დონის დაბრუნება შეუძლებელი იქნება. აღნიშნული მაჩვენებელი მკვეთრად განსხვავდება საქართველოს ქალაქების მიხედვით. პანდემიამდელ დონეზე კეთილდღეობის დაბრუნებას უახლოეს 1-2 წელიწადში ვარაუდობს გამოკითხულთა 92% ბათუმში, 60.6% - თბილისსა და მხოლოდ 16% - ხაშურში. ამ ფონზე აღსანიშნავია, რომ გამოკითხული მოსახლეობა თითქმის ერთსულვნად დადებითად აფასებს ზამთრის პერიოდში შინამეურნეობათა კომუნალური ხარჯების სუბსიდირებას სახელმწიფოს მიერ.

აღსანიშნავია, რომ კოვიდინფექციის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებისათვის მედიკოსთა რეკომენდაციების დაცვაში მამაკაცებთან შედარებით ქალები უფრო თანმიმდევრულნი და დისციპლინირებულები არიან. - აღნიშნულ რეკომენდაციებს იგნორირებას უკეთებს საქართველოში გამოკითხული ყოველი მეხუთე მამაკაცი და მხოლოდ ყოველი მეათე ქალი (შესაბამისად, 21.2% და 9.9%).